ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 158

შაბათი, 21 ივლისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 158

შაბათი, 21 ივლისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ **მოსწავლეების მიღება უმცროს განყოფილებაში** და მოსამზადებელ კლასის ახლად გასახსნელ **საშუალო განყოფილებაში** დანიშნულია ამა 1901—1902 სასწავლო წლის 28 და 31 აგვისტოსათვის. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-დგან 9 წლამდე **უეგზამენოდ**; საშუალოში—8-დგან 10 წლამდე **ეგზამენით**.

თხოვნები მიიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით დილის 11-დგან ნაშუადღევის 1 საათამდე სასწავლებლის შენობაში. თხოვნას უნდა ახლდეს: ნამდვილი დაბადების მოწმობა, მოწმობა წოდებისა და ყვავილის აცრისა და აგრეთვე პირი ამ მოწმობებისა. თხოვნები, რომლებსაც უამ-მოწმობებოთ წარმოადგენენ, არ მიიღება. (6—6.—6)

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—70)

ტელეფონი № 174.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოდ).

მიხეილ გედევანიშვილისა, კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ბ. ბ. მადალაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მუდიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკევიჩი—საქირურგო—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ა. დ. ბეკთაბეკოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

ბ. ბ. მადალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. კოლონოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (ნ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

გ. ი. გმელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხნოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არზანიტსკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардiана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ახალი ამბავი

—

*** ტფილისის საბჭოს 1892 წლ. შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ

ფელეტონი

უცხოთა შორის

ბრძოლა უმდიდრეს სინდიკატსა და იმის მუშათა შორის.—ევროპის ფედერაცია და აფრიკის დანაწილება.—პოეტთა კონგრესი.—სოციალურ ეკონომიის საზოგადოების კონგრესი.—ლისაბონის უნივერსიტეტი და იქაური სტუდენტები.—ახალი კანონები შეუძლებულთა შესახებ.

ამერიკაში ახალი ომი ასტყდა, სწერს ერთი გაზეთი მორგანის სინდიკატსა და იმის მუშებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების შესახებ. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მორგანის სინდიკატის მუშებმა პირი შეჰკრეს და მუშაობა აღკვეთეს. ეს ის სინდიკატია, რომლის შესახებაც წარსულ ფელეტონში ვწერდით და რომელსაც თითქმის ექვს მილიარდ მანეთის შეძლება აქვს. და, ამ უთვალავ მილიონებით აღჭურვილს, ბაზარში გაბატონებულს და სიმდიდრით მეტად გათამამებულს სინდიკატს დაუპირეს გამკლავება კავშირების წყალობით გაერთიანებულმა, შეგნებულმა და ამ გვარ საქმეში უკვე გამოცდილ-დახელოვნებულმა მუშებმა. ბრძოლა, როგორცა ჰხედავთ, დიდად საყურადღებო და საინტერესოა. ამ ბრძოლამ ევროპის ყურადღებაც-კი მიიქცია. ამერიკაში ხომ სხვა სალაპარაკო აღარა არის-რა: მთავრობა, ჟურნალ-გაზეთობა და საზოგადოება გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მორგანისა და მუშების მოქმედებას და მოუთმენლად მოელის ბრძოლის შედეგს.

ჯერ-ჯერობით ორივე მხარე თავისას მტკიცედ ადგია და ყოველის საშუალებით სცდილობს მოწინააღმდეგის დამარცხებას, განსაკუთრებით სინდიკატი. ამ უკანასკნელის მოთავე და სულის ჩამდგმელი, მორგანი შესანიშნავი კაცია. იგი ბევრში წააგავს სესილ როდსსა და ბისმარკს. პირველსავით უზომოდ თავმოყვარეა, ხოლო მეორესავით—მტკიცე და რკინის ხასიათის პატრონი. ეს კრეზი გულ-ჩათხრობილი კაცია. არასოდეს თავისს აზრს, ფიქრსა და განზრახვას სხვას არ გაუზიარებს, ვიდრე არ განახორციელებს და ერთხელვე გულში გადაწყვეტილს სისრულეში არ მოიყვანს. რაღა ლაპარაკი უნდა, ასეთ კაცს, რომელსაც თავისი თავი ქვეყნის მბრძანებლად მიაჩნია, მუშების ურჩობა არაფრად ეპიტნავებოდა.

აკი ამიტომ მორგანმა ყოველ საშუალებას მიჰმართა მუშაობის დასაწყობად. ჯერ მოისურვა დიდის სასყიდლით იმ მუშების დაქირავება, რომელნიც მუშათა კავშირის წევრებად არ არიან; მაგრამ იმ ღამეს, რა ღამესაც მუშაობა უნდა დაეწყოთ, შეთქმულმა მუშებმა მუშხუნები აუშვეს, ზარბაზნები დასცალეს, ხელად თავი მოუყარეს ამხანაგებს და ახლად დაქირავებულნი უკუ-აქციეს. შემდეგ მორგანმა ზანგების დაქირავება მოიწადინა, მაგრამ საქმეს ვერც ამით უშველა რამე. ბოლოს პოლიციის შემწეობას მიჰმართა, მაგრამ იმედი არც პოლიციამ გაუმართლა.

არა ნაკლებ მხნეობასა და მეცადინეობას იჩენს მუშათა კავშირი. იგი გულ-მოდგინედ სცდილობს სხვა კავშირების მომხრობას. სახელოსნოებთან, მოედნებზედ, რკინის გზის სადგურებთან, ხიდებთან კავშირმა დარაჯები დააყენა, რათა თვალყური ადევნონ იმ მუშებს, რომელნიც კავშირის წევრებად არ არიან. ამას გარდა კავშირმა სინდიკატის სახელოსნოების მახლობლად იჯარით აიღო მიწები, კარვები დადგა იქა და მუშები დააყენა. დღემდე მუშებს არაფრით წესიერება არ დაურღვევიათ, თუმცა, როგორც ამბობენ, შეთქმულთა რიცხვი ასი ათას კაცამდე ავიდა.

ყველა ამან და აგრეთვე დიდმა ზარალმა (ყოველდღე სინდიკატს რამდენიმე ასი ათას მანეთის ზარალი მოსდის) მეტად დაალონა და დაამარა ქედ-მაღალი მორგანი. იგი ეხლა სასამართლოსა სთხოვს შემწეობასა მუშათა კავშირის ალაგმვას. მაგრამ საეჭვოა, რომ სასამართლომ გააწყოს რამ და შეთქმულთ მუშაობა დააწყობინეს. ბევრი ეხლავე წინასწარმეტყველობს მორგანის დამარცხებასა და მუშათა გამარჯვებას.

* * *

ვინ დამარცხდება და ვინ გაიმარჯვებს, ამას, რასაკვირველია, ახლო მომავალი დაგვანახვებს, ჯერ-ჯერობით-კი მორგანთან ერთად ამ ბრძოლამ მეტად ცუდ გუნებაზედ დააყენა სხვა სინდიკატის პატრონნიც. მუშები წესიერებას არღვევენ, შფოთსა და უთანხმოებას აჩენენ და ხელს უშლიან მშვიდობიან ცხოვრების დამყარებასაო, გაიძახიან ეს მშვიდობიანობისა და წესიერების მოყვარულნი. მაგრამ, მოგეხსენებათ, მშვიდობიანობის დამყარების საქმეში ყველა ერთის აზრისა და შეხედულებისა არ არის. ზოგი ხსნას დიდის ჯარისა და მრავალისაგან-მრავალის ზარბაზნებისაგან მოელის, ზოგი კიდევ უბრალო ქადაგებასა ჰსჯერდება. საზოგადოდ ბევრ პროექტს იგონებენ იმისას, თუ როგორ უნდა იქმნას კაცთა შორის დამყარებული მშვიდობიანობა და სათნოება. ერთი ასეთი პროექტი ამას წინად ერთ ფრანგულ ჟურნალსაც გამოუქვეყნებია. ჟურნალის აზრით, საჭიროა მშვიდობიანობის მოყვარულნი გულითა და სულით შეეცადნენ ევროპის ერთა დაახლოვებას და ამ ერთთაგან ფედერაციის შედგენას! სისხლის მღვრელი ომები მაშინ თავის თავად მოისპობა, საჭირო აღარ იქმნება ის უთვალავი ჯარი (5 მილიონი კაცი), რომლის შესანახავადაც დღეს ევროპა ყოველ წლობით 10 მილიარდ მანეთსა ჰხარჯავს. რა არ გაკეთდება ხალხთა კეთილდღეოდ 10 მილიარდ მანეთით! ხალხთა კეთილ დღეობასვე მოჰხმარდება ის ფული, რომელიც დღეს ომზედ იხარჯება. ინგლისმა, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის ომს $1^{1}/_{2}$ მილიარდი მანეთი მოანდომა. ამ ფულით, ავტორის აზრით, შეიძლებოდა ევროპიდგან ინდოეთში რკინის გზის გაყვანა. ეს გზა გაივლიდა და გააცოცხლებდა სამხრეთ რუსეთს, კავკასიას, სპარსეთს, ავღანისტანს. სულ ექვსი დღე მოუნდებოდა მაშინ კაცი ლონდონიდგან ინდოეთის დედა-ქალაქ კალკუტაში ჩასვლას.

ასე ოცნებობს წერილის ავტორი, სახელმწიფონი-კი თავისას არ იშლიან, ჯარს უფრო და უფრო ამრავლებენ და სადაც წასაგლეჯი და წასატაცებელია, იქ ტყუილად დროს

ნება დაჰრთოდა ქალაქს რკინის გზით შემოტანილსა და გატანილს საქონელზედ 5 წლით ფუთზედ $^1/_4$—$^1/_2$ კაპ. გარდასახადი დაედოს და ამ ფულით რკინის გზის სადგურების „ტფილისისა" და „ნათლუხის" მისავალი გზები შეეკეთებინა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯერ-ჯერობით ვერ შეუწყნარებია და მოუთხოვნია, რადგანაც ზოგიერთს ქალაქის თვითმმართველობას, მართალია, საშელავათოდ ამისი ნებართვა მიეცა, შემდეგი საჭირო ცნობები შეეკრიბონ და წარუდგინონ: 1) აღნიშნულს მისავალს გზებს რამდენად დიდი ადგილი უჭირავს და რა ხარჯი დასჭირდება, 2) რკინის გზით რამოდენი საქონელი გააქვთ და შემოაქვთ, 3) „პლანი" იმ ადგილებისა, სადაც ეს გზები გადის, 4) რამდენის წლით (მაგრამ არა უმეტეს 10 წლისა უნდა იქმნეს შემოღებული ეს გარდასახადი), 5) რა და რა გასატანსა და შემოსატანს საქონელს უნდა დაედოს ეს გარდასახადი და რამდენი, 6) თანხმობა ადგილობრივის ქარხნებისა და ფაბრიკების პატრონებისა, რომ აღნიშნული გარდასახადი იქმნეს შემოღებული. ამისათვის ფინანსთა სამინისტროს საჭიროდ უცვნია აღნიშნულის კითხვების შესახებ ქალაქის საბჭომ ხელახლად შეიმუშაოს თავისი აზრი და ისრე წარუდგინოს.

⁂ როგორც დედათა წმ. ნინოს სასწავლებლის საბჭო აცხადებს, წელს ამ სასწავლებელში ახლად შემსვლელთათვის მხოლოდ შემდეგს კლასებში თურმე თავისუფალი ადგილები: მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებაში 11 ადგილი, I კლასში—6, მე-III-ში—8, მე-IV-ში—12, მე-V-ში—7 და მე-VII-ში—3. თხოვნები ყველა საჭირო საბუთებითურთ 15 აგვისტოზედ გვიან არ უნდა იქმნეს გაგზავნილი და თვითონ მოწაფენიც, ვისაც გამოცდა დასჭირდება, 27 აგვისტოს უნდა გამოცხადდნენ დილის 8 საათზედ.

სასწავლებელში შემსვლელთა მიღება კონკურსით იქმნება.

⁂ ტფილისის ქალაქის რკინის გზის სასწავლებელში შემსვლელთათვის გამოცდა 27, 28 და 31 აგვისტოსათვის არის დანიშნული. თავისუფალი ადგილები მხოლოდ პირველსა, მეხუთესა და მეექვსე კლასშია.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ვერის აგურხანებში მაზუთის ხმარება სრულიად აკრძალულ იქმნეს.

⁂ როგორც უკვე უწყიან ჩვენმა მკითხველებმა, ენკენისთვიდგან ტფილისში სამხატვრო სასწავლებელი უნდა იქმნეს გახსნილი იმავე პროგრამით, როგორითაც ქ. კიევსა და რუსეთის რამდენსამე სხვა ქალაქშია დაარსებული. როგორც შევიტყეთ, აღნიშნულის სასწავლებლისათვის თავ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკის სახლი (ტფილისის ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის შენობის უკან) კიდევაც დაუქირავებიათ.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, მალე საფრანგეთიდგან კავკასიაში ფრანგი სტუდენტები თურმე ჩამოვლენ სამოგზაუროდ. სტუდენტებს განზრახვა აქვთ კავკასია დაახლოვებით გაიცნონ და შემდეგ პეტერბურგი და ფინლიანდია ინახულონ.

⁂ როგორც გაზ. „Терск. Вѣд." იუწყება, ოსეთის სამრევლო საეკკლესიო სკოლების მასწავლებელთა კრებას დაუდგენია ოსთა ყველა სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში რუსულის ენის სახელმძღვანელოდ ჩვენის პედაგოგის ი. გოგებაშვილის „Русское Слово" შემოიღონ.

⁂ როგორც იგივე გაზეთი იუწყება, ამიერიდგან არდონში ოსთა სამრევლო-საეკკლესიო სკოლებისათვის სამოსწავლო წიგნებისა და ნივთების საწყობი თურმე იქმნება გახსნილი.

⁂ როგორც იწერებიან, 31 მაისს მომხდარ საჯარო ვაჭრობის დროს სოჭის მახლობლად სულ 16 ნაჭერი საავარაკო მიწა გაყიდულა საჟენი 1 მ. 26 კ.—6 მანეთამდე. გაყიდულს ადგილებს ვერეშჩაგინისეული აგარაკები ეწოდება.

⁂ როგორც ამას წინად გვწერდნენ ქიზიყიდგან, წელს იქით მოსავალი ძლიერ მცირედი მოვიდა. ამის გამო გაჭირვებული გლეხობა ქალაქს მიაწყდა სამუშაოს საშოვნელად, საგრამ სამუშაოზედ, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქი აგრე გულხალვათი არ გახლავთ, და ცუნუგშოდ თურმე უკან ბრუნდება ეს დამშეული ხალხი.

⁂ რადგანაც მატარებლებში დღემდის არსებული სავაჭრო დუქნები ამიერიდგან გაუქმებულნი იქმნებიან, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მსახურთა მომხმარებელს საზოგადოებას განზრახვა თურმე აქვს ბაქოდგან ყარსამდის აჯიქაბულსა, ალსტაფასა, ივლახსა და გუმბრში პატარ-პატარა მაღაზიები გახსნას. საზოგადოებას განზრახვა თურმე აქვს დასახელებულ დიდი სადგურებს შუა მდებარე პატარა სადგურებს აღნიშნულ მაღაზიებიდგან უგზავნოს საჭირო სანოვაგე.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, საერო განათლების სამინისტრომ, უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლის ნაცვლად, საჭიროდ სცნო ტფილისში საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის დაარსება. ამიტომ სამინისტრომ ადგილობრივ მთავრობას დაავალა ცნობების შეკრება იმის შესახებ, თუ რა ტიპის სატეხნიკო სასწავლებლის დაარსება უფრო სასურველი და სასარგებლოა აქაურ მცხოვრებთათვის. ტფილისის ქალაქის მოურავმა ეს წინადადება ამ დღეებში გადასცა ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიას და დაავალა საჭირო ცნობების შეკრება.

⁂ გუშინ-წინ კიევიდგან ჩამოვიდნენ და „ორიანტის" ნომრებში ჩამოხტნენ კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ტომაშინსკი და კიევის თვალის სამკურნალოს უფროსი მკურნალი კოზლოვსკი.

⁂ როგორც იწერებიან, ყანჩაეთში (დუშეთის მაზრაშია) საოფლე გაჩენილა.

⁂ ოთხშაბათს, 25 ივლისს, შუადღის 12 საათიდგან დაიწყებენ მატარებლები სიარულს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მეორე ლიანდაგზე ვოლჩი-ვარატიდგან ბაქომდე. რკინის გზის მე-786 ვერსტზე მოძრაობა შესწყდება და ეს გზა სულ გაუქმებული იქნება.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას შეაკეთოს ზოგიერთი ქუჩა, მაგ. გოლოვინის პროსპექტი, ბარიატინსკის ქუჩა და სხვანი.

⁂ ამ დღეებში ტფილისის პოლიციის მეხუთე ნაწილის ბოქაულმა მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ რადგანაც ქალაქის შუა ბაზარსა და პუშკინის ქუჩაზედ დიდი ხალხის მოძრაობაა და მტკვრიდა [illegible] რთა განკარგულება იქმნეს [illegible], რომ ეს ქუჩები ყოველ დღე ირწყვებოდეს.

კავკასიის მომავალი გამოფენა.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში გუშინ-წინ, საღამოს 8 საათზედ, მოხდა სხდომა კავკასიის გამოფენაზედ ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების მომწყობ კომიტეტისა ზოგიერთ საგნების განსახილველად; კომიტეტმა, სხვათა შორის, დაადგინა გამართოს დიდი საერთო საწყობი პატარა განყოფილებებით, სადაც დააწყობენ დრო-გამოშვებით გამოცემებს გამომცემელნი და რედაქციები. განყოფილებაზე კავკასიის ყველა გამოცემათა თითო ცალის მოსაპოვებლად თვით კომიტეტმა უნდა იზრუნოს. კომიტეტის დადგენილებით დაწესებული იქმნება ბეჭვდითი სიტყვის განყოფილებაში ყოველ დღე მორიგეობა; მორიგედ დანიშნული იქმნება რედაქციიდგან თითო კაცი დღეში. ამ განყოფილების გამგედ კომიტეტმა დანიშნა „Кавк. Вѣст." გამომცემელი ბ-ნი ყორღანოვი.

კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტმა განცხადება მიიღო, რომ სათადარიგო ჯარის-კაცი ე. პოტაპოვი თვით მოძრავ აპპარატის მოდელს წარადგენს.

გზათა სამინისტროს მოხელეს გრიგორიევს (ტფილისიდგან) განუცხადებია, რომ მამა-დავითის მთისა და რამდენისამე სხვა სურათის რელიეფებს წარადგენს გამოფენაზედ.

არა ჰკარგავენ. არ დაჰკარგეს დრო, მაგალითად, აფრიკაში, და ისე დაინაწილეს, ამასთან მშვიდობიანად, ულაპარაკებლად, ეს უზარმაზარი მატერიკი, რომ დღეს ერთ თავისუფალ ადგილსაც ველარსად იპოვნით იქ. საყურადღებო ცნობები დაბეჭდილა ამის შესახებ ინგლისურს „Times"-ში. გაზეთი გულ-ნატკენი ამბობს, რომ საფრანგეთმა გვაჯობა აფრიკაში და ჩვენზედ მეტი ადგილი ჩაიგდო ხელთაო. მართლაცა და საფრანგეთს აფრიკაში უზარმაზარი მიწა-ადგილი აქვს, რომელიც რამდენჯერმე აღემატება თვით საფრანგეთს. აი ეს ადგილები: ალჟირი, სახარა, ტუნისი, სენეგალი, გვინეია, სპილოს ძვლის ნაპირი, დაგომეია, სუდანის ნაწილი, კონგო, გაბონი, ბაგირმი, უადაი, კანემი, სომალი და მადაგასკარი, სულ 3,804,974 ოთხ-კუთხი ინგლისური მილი!

საწყალ ინგლის მხოლოდ მეორე ადგილი უჭირავს. ამ სახელმწიფომ მარტო 2,713,910 მილი შემოფარგლა. გაზეთი მეტად თავაზიანად ექცევა ეგვიპტეს და იმასა და ინგლის-ეგვიპტეს სუდანს თავისად არ ანგარიშობს. თუ ზემოხსენებულ ადგილებს ამ „პატარა" ნაჭერსაც მიუმატებთ, ე. ი. 1,010,000 ოთხ-კუთხს მილს, მაშინ ჯონ-ბულის მიწა-ადგილი საფრანგეთისას აღარც-კი ჩამოუვარდება. აი ჯონ-ბულის „საკუთრება" აფრიკაში: კაპის ახალშენი, ნატალი, ზულულენდი, ბეზუტოლენდი, ბეჩუანალენდი, ტრანსვაალისა და ორანჟეს ახალშენები (ამაებს-კი, მგონი, ცოტა ადრე ესაკუთრება), როდეზია, საშუალო აფრიკის ნაწილი, აფრიკის აღმოსავლეთი ნაწილი, სომალილენდი, ნიგერია, ლაგოსი, ილორუბა, ოქროს ნაპირი, სიერა ლეონე და გამბია. ეს არის მხოლოდ...

გერმანელმა მიხელმა, რომელსაც ესეთი მაგარი მუშტი აქვს, თავისი მოწყალე კალთა ჯერ-ჯერობით 933,380 მილს გადააფარა. ინგლისსავით არც ისაა კმაყოფილი; ნანობს, რომ სხვებზედ გვიან შეუდგა აფრიკაში „ცივილიზაციის გავრცელებას". თითქმის ამდენსავე დაჰპატრონებია პატარა პორტუგალია; ეს ევროპიელი ჭიანჭველა ოცჯერ თავისზედ მძიმე ტვირთს მიათრევს—790,124 მილს, და, ეჭვი არ არის, კეთილი მეზობლები მალე გაანთავისუფლებენ ამ მძიმე ტვირთისაგან, ისევე, როგორც ოსმალეთს, რომელსაც დიდძალ ადგილებიდგან 3,980,900 მილი-და შერჩა. უკანასკნელი ადგილი იტალიასა და ესპანიას უჭირავთ; პირველს 188,500 მილი ეკუთვნის, ხოლო მეორეს—169,150 მილი.

აი ასე მშვიდობიანად გაინაწილეს და გაიყვეს აფრიკა სხვათათვის თავდადებულმა ევროპიელებმა.

⁂

პოეტებს რომ ასე არ უყვარდეთ ჰაერში ფრენა და მეტ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რაც დედა-მიწაზედ ხდება, უეჭველად რამდენსამე ლექს უძღვნიდნენ ევროპიელებს და ქება-დიდებით მოიხსენიებდნენ იმათ ძმობას, ერთობას და ამხანაგობას აფრიკის საქმეში. მაგრამ, მოგეხსენებათ, მგოსანთა დაუდევრობა, ისინი შინაურ საქმეშიაც-კი ვერ მორიგებულან და შეთანხმებულან. აქამდე თუ კიდევ ეგონა ვისმეს, რომ მგოსანთ თანხმობით შეუძლიანთ საერთო საქმის შესახებ მოლაპარაკება და ამ საქმის მოგვარება, პარიჟში მომხდარ პოეტთა კონგრესის შემდეგ არა მგონია ეს აზრი კიდევ გაიტაროს ვინმემ თავში. ამ კონგრესზედ პარნასის შვილთ ვერც ერთი საგანი ვერ გადასწყვიტეს. ეს კიდევ არაფერია: თავიდგანვე ისეთი ხმაურობა, ყვირილი და აურ-ზაური ასტყდა დარბაზში, რომ არა პოეტენი, გარეშენი შიშით გარეთ გამოვარდნილან.

კონგრესს სამას კაცამდე დაესწრო. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა საფრანგეთის პოეტთა შორის „მეფედ" აღიარებული ლეონ დირქსი. სულ კონგრესს სამი საგანი უნდა გადაეწყვიტა. დარბაზში საშინლად ცხელოდა და, ეჭვი არ არის, ამასაც არა მცირედი გავლენა ექმნებოდა პოეტებზედ. პირველი მოხსენება მგოსანთ შედარებით წყნარად მოისმინეს, მაგრამ დაიწყო თუ არა მეორე მომხსენებელმა თავისის რეფერატის კითხვა, დარბაზში ერთი ხმაურობა ასტყდა. „ჩვენ პოეზიის შესახებ მოსალაპარაკებლად შევიკრიბენით და არა გრძელ მოხსენების მოსასმენადაო", გაისმა აქეთ-იქიდგან. ბოლოს ისეთი ყვირილი ასტყდა, რომ რეფერენტმა შუა ადგილის შესწყვიტა თავისი რეფერატი. უფრო უარესი დღე მესამე მომხსენებელს დაადგა. ამას ხუთი-ექვსი წინადადების წაკითხვაც არ დააცალეს. ამის შემდეგ კამათი გაიმართა. ერთმა წევრმა ის იყო დაიწყო ლაპარაკი პოეზიის ახალ ფორმათა შესახებ, რომ მეორემ გააწყვეტინა და თვითონ გააბა. მაგრამ დიდხანს არც იმას დააცალეს, მალე საერთო ხმაურობა ასტყდა, ასე რომ კაცი ვეღარაფერს გაარჩევდა და გაიგებდა.

ზარის ხანგრძლივის წკარუნის შემდეგ ოფლში გაწურულმა თავმჯდომარემ როგორც იქნა წესიერება აღადგინა. პირველის ორატორის სიტყვა მგოსანთ შედარებით წყნარად მოისმინეს. უთუოდ ლაპარაკით დაღლილმა პოეტებმა ამ დროთი ისარგებლეს და სული მოიბრუნეს. როდესაც მეორე ორატორმა განაცხადა, აკადემიას მივმართოთ და ვთხოვოთ, შემწეობა აღმოუჩინოს ხოლმე შეუძლო პოეტებსაო, „შორს ჩვენგან აკადემია, უნდა დავამხოთ, გავანადგუროთ აკადემიაო!" შეჰყვირეს პოეტებმა და მოითხოვეს კიდეც ამ საგნის გადაწყვეტა. კონგრესმა თითქმის ერთხმად გადასწყვიტა „დაამხოს" აკადემია.

შემდეგ რა მიახდა კრებაზედ, ამისი აღწერა ვერც ერთმა რეპორტერმა ვერ მოახერხა. დაღლილმა და დაქანცულმა თავმჯდომარემ კრებას თავი მიანება და სამარცხვინოდ მოჰკურცხლა. იმისი ადგილი კატულ მენდესმა დაიჭირა, მაგრამ კრების გათავებამდე იმანაც თავს უშველა. კონგრესი შუაღამისას დასრულდა, როდესაც უმრავლესობა გაიკრიბა და დარბაზში მხოლოდ რეფერენტები-ღა დარჩნენ. ასე გათავდა ეს პოეტთა პირველი კონგრესი. აზრადა აქვთ მერმის მეორე კონგრესი მოიწვიონ.

⁂

სულ სხვა ელფერი ედო ეგრედ-წოდებულ სოციალურ ეკონომიის საზოგადოების კონგრესს, რომელიც რამდენისამე დღის შემდეგ იმავე პარიჟში მოხდა. მრავალი საყურადღებო მოხსენება განიხილა კონგრესმა და მრავალმა ორატორმა მიიღო მონაწილეობა კამათში. თითქმის ყველა საგანი, ამ კონგრესზედ გადაწყვეტილი, ქალთა მდგომარეობას შეეხებოდა. უთუოდ ამიტომ კონგრესს ურიცხვი მანდილოსანი დაესწრო, მათ შორის ქალთა უფლებათათვის ცნობილნი მებრძოლნიც. კამათს სერიოზული ხასიათი ჰქონდა, თუმცა არც ამ კრებას ჩაუვლია „უხიფათოდ". კონგრესის ერთ წევრს, ახალგაზდა ქალს, წინადადება შეუტანია, ზიზღი გამოვუცხადოთ იმ ყმაწვილ კაცებს, რომელნიც გაუთხოვარ ქალებს-კი არა, ახალგაზდა გათხოვილ ქალებს ეტრფიალებიანო. „პარიჟში გათხოვილ ქალებს საზოგადოდ დიდი გასავალი აქვთო", დაუმატა თურმე გულ-ნატკენის კილოთი ამ ქალმა, მაგრამ კრებას, სამწუხაროდ, არ შეუწყნარებია იმისი წინადადება.

უფრო ცხარე კამათი გამოიწვია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოჭის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ თავისს სხდომაზედ 1 ივლისს გარდაუწყვეტია, რომ ექსპონატებთან ერთად კავკასიის მომავალს გამოფენაზედ გამოგზავნოს ორი წარმომადგენელი, რომელთაც საჭიროებისდა მიხედვით თავისს ექსპონატების შესახებ გამოფენის მნახველთ ყოველისფერი უნდა განუმარტონ და შემდეგ საზოგადოებას გამოფენის დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინონ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ზუგდიდი. წელს მოსავალს სიმინდისას, ღვინისას და სხ. ძლიერ ნაკლებს მოელის სოფლელი მუშა. მუდმივმა წვიმებმა ყოველისფერს ფერი უცვალა, გაანადგურა, წყალდიდობამ მდინარეების პირად მდებარე ყანები წაიღო და მასთან მთელს მაზრაში ყანები საშინლად გაუმარგლავია, რადგანაც ნიადაგი ატალახებულია, მუშაობა შეუძლებელია.

ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, ეგრედ წოდებულ „დაკარდაიასკენ“ ნამუშავარი ცოტა უკეთესია, რადგანაც მაღლობი, მთიანი ადგილია და წვიმიანობა ისე არა ვნებს; ყურძენი-კი წამლითაც არ ასხია მთელს მაზრაში; ნიკაზი და თხილი წარსულზედ მეტია, მაგრამ ისიც წამხდარია.

მუდმივს წვიმიანობასა და ნოტიოს ახლა ავადმყოფობაც მოჰყვა, გაჩნდა გაციება, სენი მუცლისა და სხ., მაგრამ ადგილობრივის მაზრის მკურნალისა და მისის ფერშლების წყალობით ავადმყოფობას დიდი გავლენა არა აქვს, სადაც კი მისწვდებიან; მაგრამ ასე დიდს მაზრაში ერთი მკურნალი და ორი ფერშალი აბა რას გახდებიან? წაიყვანს თუ არა ერთი ავადმყოფის პატრონი, სამოთხე კიდევ შინ უცდის, სანამდის მკურნალი დაბრუნდებოდეს და მათში ბევრს მოსული მეორე დღემდის ძლივს ეღირსება ხოლმე მკურნალს, რომელსაც ახლა მაზრის სამსახური აბრკოლებს ხშირად.

არ იქნა სხვა-და-სხვა უსარგებლო ჩვეულებას ბოლო არ მოეღო ჩვენს მაზრაში: მოკვდება ვინმე, მდიდარი იქნება თუ ღარიბი, უნდა გამართოს ტირილი ნასესხითა და სოფელი გამოაძღოს, რისთვისაც შემდეგში თვით მკვდრის პატრონიც მკვდარზედ უარესია, გაღარიბ-გაღატაკებული. ქალს შეირთავს ვინმე და გამართავს ქორწილი, ღვინის სმა, მაყრების ჩხუბი და სიმთვრალის დროს ერთი-მეორის ჩეხვა და ხოცვა და სხ. აგერ, გუშინ, 15 ივლისსაც, დამით თავისს ძმისწულს მაყრით წაჰყვა ვაჭარი კოსტა დარჯანია, რომელსაც უეცრად რევოლვერის ტყვია მოჰხვდა და ნახევარ საათის განმავლობაში სული გააფრთხობინა. საბრალო წვრილ-შვილის პატრონია.

ამ დღეებში მდინარე ენგურის ნაპირას დამხრჩვალი გვამი ნახეს ახალგაზრდა იოსებ ჯაფარიძისა. ნამდვილი მიზეზი ჯერ არავინ იცის, მტრობით არის დამხრჩვალი, თუ მოულოდნელად.

ზუგდიდელი ა—ნი

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

კაპის ახალშენში რადაც გასაკვირველი ამბავი ხდება. ინგლისელებს იქამდე გაუჭირდათ საქმე, რომ გენერალმა ფრენჩმა ლორდ კიტჩენერს ახალის ჯარის მოშველება სთხოვა. აშკარაა კაპის ახალშენში მცხოვრებ ჰოლანდიელთა აჯანყება თანდათან ძლიერდება, თუმცა ანგლისელნი დაბეჯითებით არწმუნებენ ყველას, რომ იქ სრული მშვიდობიანობა დაუმყარებიათ. ინგლისელები რომ ისე სასტიკად არ ეფარებოდნენ სამხრეთ-აფრიკიდგან გამოგზავნილ ამბებს, ეჭვი არ არის, ბევრ ისეთ რასმეს გავიგებდით, რაც ინგლისელთა სანუგეშო არ არის.

— იოჰანესბურგის მადნებში დღემდე წესიერად მუშაობას ვერ შეუდგნენ. ბურები მთელ ოლქს არ აძლევენ მოსვენებას. ამისავე წყალობით გაჭირება და მრეწველობა შეჩერებულია. ამ ჟამად მხოლოდ რამდენსამე მადანში შეჰხვდება თურმე კაცი მუშებს. შემოსავალი ვერა ჰფარავს თურმე ხარჯს. რადგანაც მუშებს მეტად მცირე სასყიდელი ეძლევათ, უმრავლესობა თავს ანებებს მადნებს და სრულიად მიდის იოჰანესბურგიდგან.

— როგორც „Morning Post“-ს კაპშტადტიდგან ატყობინებენ, ბურთა გენერალს დელარეის გამოუცხადებია თავის ჯარისათვის, რომ ყოველი იმედი დავკარგეთ გარედგან შემწეობისაო. საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ევროპა ჩვენს საქმეში არ ერევა და დახმარებას არ გვიწევსო. ამიტომ მხოლოდ ჩვენს მარჯვენასა და ძალ-ღონეს-და უნდა დავენდოთო.

ჩინეთი. როგორც „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ შანხაიდგან, ჩინელთა სიტყვით, მანჯურიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მეამბოხეთ დაუმარცხებიათ რუსეთისა და ჩინეთის ჯარი. მეამბოხენი ეხლა ტელეგრაფს ანადგურებენ თურმე.

— ამას წინად დაბრუნებული ჩინეთიდგან ბერი ათანასი ბეტტე, რომელსაც იქ მთელი 20 წლიწადი გაუტარებია, პეკინსაში ბევრს რამდენჯერმე სიტყვა წარმოუთქვამს და დამსწრეთათვის უამბნია ქრისტიანეთა ჟლეტა-ხოცვის ამბავი ჩინეთში. ამ მისიონერის სიტყვით, იმ ქრისტიანეთაგან, რომელთაც საფრანგეთი უწევდა მფარველობას, ჩინელებს 30 ათას კათოლიკემდე ამოუწყვეტიათ. მოუკლავთ, სხვათა შორის, სამი ეპისკოპოსი, 9 პატრი და მრავალი და მოწყალებისა. ამას გარდა ჩინელებმა 8,000 მონათლული ბავშვი გამოასალმეს თურმე წუთი-სოფელს. პეკინში თვით ქვრივ იმპერატრიცას უბრძანებია ქრისტიანე ჩინელთა ამოჟლეტა. პირველ დღეს იმპერატრიცის ბრძანებით სიკვდილით დაუსჯიათ 300 კათოლიკე.

ავსტრ-უნგრეთი. ჩეხებსა და პოლონელთა შორის დიდი პოლემიკა და უკმაყოფილება ასტეხა. გაზეთის „Neue Freie Presse“-ს სიტყვით, ეს უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ ჩეხებს უნდათ პირველობა დაიჭირონ აღმოსავლეთ სილეზიაში. უკანასკნელი პოლემიკა ჩეხთა და პოლონელთა გაზეთებს შორის გასულ წლის დეკემბერში მომხდარ სახალხო აღწერის გამო მოხდა. როდესაც ამ აღწერის შედეგი გამოქვეყნებულ იქმნა, დამტკიცდა, რომ ძალიან უკლია სილეზიაში მცხოვრებ ჩეხთა რიცხვს. ჩეხური გაზეთები ამ გარემოებას პოლონელთა მხრივ შევიწროებას აწერენ; პოლონელებმა განაძევეს ჩეხები სილეზიიდგან, სადაც ისეთივე უპირატესი მდგომარეობა სურთ მოიპოვონ, როგორც გალიციაშიო. პოლონურმა გაზეთებმა, რასაკვირველია, პასუხი გასცეს და ბრძოლა გამწვავდა. გაზეთების ფურცლებიდგან ეს კამათი სილეზიის სეიმში გადავიდა. ვენის გაზეთი შემთხვევით სარგებლობს და ცდილობს დაარწმუნოს პოლონელები, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელია ნემეცებთან იქონიონ კავშირი, ვიდრე ჩეხებთან.

გაზეთი „Post“ ძალიან ჯავრობს იმის გამო, რომ ცენტრის პარტია პოლონელთ ექომაგება. ძნელი წარმოსადგენია, სწერს გაზეთი, ისეთმა ჭკვიანმა პოლიტიკოსებმა, როგორნიც არიან ულტრა-მონტანელთა წარმომადგენელნი გერმანიაში, როგორ ვერ გაიგეს, რომ პოლონელებს უყველაზედ ნაკლებ მოეპოვებათ მადლობის გრძნობა. თუ სასტიკად მოეპყრნენ პოლონელებს, ისინი თავიანთ ეროვნულ თვით-მოყვარეობით ადიგსებიან და დიდსულ გრძნობასა და ლმობიერებას სისუსტედა და სიმხდლედ ჩასთვლიან. პოლონელნი მხოლოდ მაშინ იქცევიან რიგიანად, როცა ძლიერის ხელ-ქვეითად იმყოფებიანო. ულტრა-მონტანელთა დაბრმავებას ზოგიერთნი იმითი ხსნიან, რომ კარგად ვერ იცნობენ პოლონელებს, რომელნიც გერმანიის იმპერიის განაპირა ადგილებში სცხოვრობენ. მაგრამ ასეთი აზრი შემცდარია, რადგანაც ეხლანდელ მიმოსვლის გაადვილებისა და პუბლიცისტიკის განვითარების მეოხებით მორე მანძილმა ყოველი მნიშვნელობა დაჰკარგაო.

ამბობენ, ვითომც პოლონელებს პატივს სცემენ იმის შიშით, რომ მართლ-მადიდებლობის სარწმუნოება არ მიიღონო. ეს მოსაზრებაც უსაფუძვლოა; ყველამ კარგად იცის, რომ პოლონელები მტკიცე კათოლიკები არიან. გაზეთის სიტყვით პოლონელთა და ცენტრის პარტიას აკავშირებს საერთო სიძულვილი სარწმუნოებრივ თავისუფლებისა და ნემეც პროტესტანტებისადმი. გაზეთი შემდეგ დასძენს, რომ პოლონელთა აგიტაციის მიზანი აშკარა არისო. ისინი მიისწრაფვიან პოლიტიკურ დამოუკიდებლობისადმი და უნდათ შეჰქმნან თავიანთთვის „უკეთესი მომავალი“. დასასრულ გაზეთი სწუხს იმასა, რომ ბევრს

კრებაზედ საქორწინო პირობის ქაღალდმა. ერთმა ქალმა სთქვა, რომ კანონებს მამაკაცნი ადგენენ და, რასაკვირველია, თავიანთვის სასარგებლოს საქმეს არასოდეს არ დაივიწყებენო. ბიუროს ერთმა წევრმა მიუგო, რომ კანონის შემდგენელი მამაკაცნი ამავე დროს მამებიც არიან, რომელთაც გულითა და სულითა ჰსურთ თავიანთ ქალების ინტერესები დაიცვანო. მეორე ქალმა გრძელ სიტყვაში ძალიან შეაქო ძველი დრო; ილაპარაკა საგენერალო შტატების შესახებ და განაცხადა, იმ დროს ქალი დიდ როლს თამაშობდა, საზოგადო საქმეში სამუშაოდ მაშინ ქალებსაც იწვევდნენო.

კონგრესმა თითქმის ერთხმად გაჰკიცხა ის კანონები (საფრანგეთისა), რომელთა ძალითაც ქალის საკუთრებად არ ითვლება ქალისავე მარჯვენითა და შრომით შეძენილი ფული. კიდევ მრავალი საყურადღებო საგანი განიხილა და გადასწყვიტა კონგრესმა. დასასრულ დაადგინეს, შემდეგ კონგრესებზედ თითო რომელიმე საგანი იქმნას ხოლმე განხილული.

* * *

მკითხველი, ეჭვი არ არის, არ დაგვემდურება, საფრანგეთს რომ თავი მივანებოთ და ერთ წუთს პორტუგალიაში გადავიხედოთ, მით უმეტეს, რომ ეს ატლანტიის ოკეანეს პირზედ მდებარე პაწაწკინა სახელმწიფო დღემდე სრულიად უცნობია ჩვენის მკითხველისათვის. ამ ჟამად პორტუგალიის ერთად-ერთ უნივერსიტეტის ავ-კარგს უამბობთ მკითხველს. საყურადღებო ცნობები ამის შესახებ ერთ რუსულ ჟურნალშია დაბეჭდილი.

უნივერსიტეტი (ქალაქ ლისაბონშია) მეტად ძველია, 1290 წელსაა იგი დაარსებული. ამ უნივერსიტეტს ჯერეთ კიდევ შუა საუკუნოების ბეჭედი აზის. ყოველის წლის პირველ ოქტომბერს პროფესორები იკრიბებიან უნივერსიტეტის ეკკლესიაში ფიცის მისაღებად და კათოლიკეთა სიმბოლო სარწმუნოების წარმოსათქმელად, როგორც ეს 1564 წელს პაპმა პიი მეოთხემ შემოიღო. სადოქტორო დისპუტების დროს ის წესები და ცერემონიები მიღებული, რომელიც 1451 წელს იქმნა დაწესებული. სადღესასწაულო აქტების დროს პროფესორები საშუალო საუკუნის ტანისამოსს იცვამენ. თვით სტუდენტებს შავი ტანისამოსი აცვიათ, მღვდლის ანაფორის მაგვარი. გარეთ სეირნობა და უნივერსიტეტში შესვლა სტუდენტებს მხოლოდ გრძელ ტოგებითა და უქუდოთ შეუძლიანთ. პროფესორებსაც უცნაური ტანისამოსი აცვიათ. ლექციების კითხვის დროს ისინი გრძელ ტოგებსა და „პელერინებში“ არიან გამოწყობილნი. წარსულის წლის ოქტომბერს რექტორს დიდი ბრძოლა დაუწყვია გახამებულ პერანგებისა და ხელთათმანების წინააღმდეგ. გახამებულ პერანგებისა და ხელთათმანების ხმარება საშუალო საუკუნოების წესისა და ჩვეულების დარღვევაა, გამოუცხადებია რექტორს.

საყურადღებო წრეებს აარსებენ თურმე ადგილობრივი სტუდენტები. ამ წრეებს „რესპუბლიკებს“ ეძახიან. ასეთი „რესპუბლიკა“ ჩვეულებრივ 10—15 კაცისაგან შესდგება. „რესპუბლიკის“ წევრნი ერთად ქირაობენ სადგომს, მოსამსახურეს, ავეჯს და ისე სცხოვრობენ, როგორც ერთის ოჯახის წევრნი. თვეში თითოს მხოლოდ ცხრა-ცხრა მანეთის გადახდა უხდება. ქალებს „რესპუბლიკაში“ შესვლა სასტიკად აქვთ აკრძალული. საღამოს შვიდ საათზედ უნივერსიტეტის კოშკში დიდ ზარსა ჰრეკენ, რის შემდეგაც სტუდენტებს გარედ გამოსვლის ნება აღარა აქვთ. ამ წესის დამრღვევს უფროსი სტუდენტები, რომელნიც ინსპექციის როლს ასრულებენ, თმას ან ულვაშებს ჰკრეჭავენ. მეტად სასტიკი კანონები ყოფილა ლისაბონის უნივერსიტეტში, თუ შენც დამეთანხმები, მკითხველო!

* * *

რადგან კანონებზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ამ ფელეტონის დასასრულ მკითხველებს ბარემ ორიოდე ახალ კანონსაც გავაცნობ, რომელთა შემოღებაც საზღვარ გარეთ ამ ბოლოს დროს განიზრახეს.

ინგლისში ლორდთა პალატას ამას წინად წარედგინა პროექტი ახალის კანონისა, რომლის ძალითაც ქვრივს ნება მიეცემა შეირთოს და თავისის განსვენებულის ცოლისა. საინტერესოა ისტორია ამ პროექტისა. ასს წლიწადზედ მეტი იქმნება, რაც ამ კანონის შესახებ ინგლისის პარლამენტში ლაპარაკი ადიძრა. ამ ასის წლის წინად საზოგადოებათა პალატამ შეიწყნარა იგი, სამაგიეროდ ლორდთა პალატამ უარ-ჰყო. მას აქეთ რამდენჯერმე წარედგინა პროექტი ლორდთა პალატას, მაგრამ ბრწყინვალე ლორდები ყოველთვის მტრულად ეგებებოდნენ. ეხლა იმედი აქვთ ამ კანონის განხორციელებისა, რადგანაც თვით ინგლისის მეფე ედუარდ მეშვიდე იმის მომხრეა თურმე. მეფეს უთქვამს, ამ კანონს მეტად საკეთილო გავლენა ექმნება საზოგადოებაზედაო.

მეორე საყურადღებო კანონის გამოცემას დელავერის შტატში (ამერიკაშია) აპირობენ. დღემდე ამ შტატის კანონები მეტად სასტიკად ექცევიან ქმრებს. კანონის ძალით გაროზგვა მოელის იმ ქმარს, რომელიც ცოლსა სცემს. აქამდე ამ შტატში „სამარცხვინო ბოძიც-კი“ იყო მიღებული ქმრების დასასჯელად; ეს სასტიკი სასჯელი მხოლოდ ბოლოს დროს გააუქმეს. ბევრმა პირველის სასჯელის (გაროზგვის) გაუქმებაც მოითხოვა, მაგრამ სენატი არ დასთანხმდა. მაშინ ერთმა სენატორმა წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ ცოლებსაც გადახდეთ ხოლმე ისეთი სასჯელი, როგორსაც ქმრებს ახდევინებენ. დიდი უსამართლობააო, სთქვა ამ სენატორმა, კანონი თანაბრად არ მოექცეს მამა-კაცსა და დედაკაცსაო. აი რას ამბობს ის ახალი კანონი, რომლის შემოღებასაც დელავერის შტატში ჰფიქრობენ: „ის დედაკაცი, რომელიც ცუდად მოექცევა ქმარს, სცემს ან სხვაფრივ აწვალებს, უნდა გაროზგვილ იქმნას. როზგი დამნაშავეს, დანაშაულობის მიხედვით, შეიძლება 5—30-ჯერ დაეკრას. სასჯელს, თუ ქმარი მოისურვებს, მოწმეებს გარდა შეუძლიანთ გარეშენიც დაესწრნენ“.

მაგრამ, თუ გაზეთებს დაუჯერებთ, ყველაზედ გასაოცარ კანონის გამოცემა ავსტრიელებს განუზრახავთ. აი სიტყვა-სიტყვით ის კანონი, რომლის განხორციელებასაც ავსტრიაში ბევრია თურმე მოწადინებული: „დამნაშავეა ის ველოსიპედისტი, რომელიც გზაში ფრთხილად არ მოიქცევა და ქალს წააქცევს. სასჯელად ასეთმა ველოსიპედისტმა უნდა შეირთოს ის ქალი, რომელსაც წააქცევს, თუ, რასაკვირველია, პირველი უცოლოა, ხოლო მეორე გაუთხოვარი“. გონება მახვილი და დაკვირვებული გასათხოვარი ქალი ადვილად მიჰხვდება, თუ რამდენად სასარგებლოა ამ გვარი კანონი ქალთათვის. იმის წყალობით არა ერთი და ორი ქალი მოახერხებს გათხოვებას თითქმის უდავიდარაბოდ. საკმაოა მხოლოდ ქალი მარჯვედ და მოხერხებულად ჩაუვარდეს ქვეშ გაქანებულ ველოსიპედს.

ამბობენ, ველოსიპედის ქარხნის პატრონნი ავსტრიაში დიდი წინააღმდეგნი არიან ამ კანონის განხორციელებისაო; უთუოდ ჰგრძნობენ, რომ ამ კანონის გამო ბევრი ყმაწვილი კაცი ალკვეთავს ველოსიპედით სეირნობას.

ი. ა—ძე

ნემეცს არა სჯერა, თუ რა საშიში ხალხია ბოლონელები, რომელნიც უვნებელ მეოცნებედ მიაჩნიათ.

სასამართლოს მატიანე

გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის პირველმა განყოფილებამ გარეშე ხალხის დაუსწრებლად გაარჩია. ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის მცხოვრების აზნაურ ნიკოლოზ მხეიძის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა მეორე გილდიის ვაჭრის შუშის მაზრის მცხოვრების ამირაჯიბ იბრაგიმ-ოღლის გაქურდვა. საქმე ასე ყოფილა: იბრაგიმ-ოღლის განუცხადებია პოლიციისათვის, რომ 22 იანვარს ამა წლისას ნიკოლოზ მხეიძეს მისთვის „მოსკოვის ნომრების“ ოთახიდგან 600 მანეთი ნაღდი ფული მოუპარავს, რომელიც ბალიშ ქვეშ ჰქონდა შენახული, და აგრეთვე რამდენისამე მანეთის ოქრო და ვერცხლი. პოლიციას მხეიძე მაშინათვე შეუპყრია, მაგრამ ამას განუცხადებია, რომ მას არავითარი ქურდობა არ ჩაუდენია და იბრაგიმ ოღლის თავისის ნებით მიუცია 300 მანეთი. ხოლო ეს ფული მიუცია იმიტომ, რომ იბრაგიმ-ოღლის ბუნების წინააღმდეგი მოქმედების ჩადენა განუზრახავს და მხეიძეს შეუშინებია — პოლიციას განუცხადებო. იბრაგიმ ოღლის ვექილმა ბ-ნმა ტურკევიჩმა განაცხადა ამაზედ, რომ ეგ შეუძლებელია, რადგანაც თათარი იბრაგიმ-ოღლი, თუ ფულს მისცემდა, პოლიციაში რადას უჩივლებდაო, რადგანაც მართალი იყო, არ შეუშინდა და ქურდი პოლიციაში დაასმინაო. ოლქის სასამართლომ ნიკოლოზ მხეიძე დამნაშავედ იცნო და 4 თვით ციხეში დაპატიმრება და 300 მანეთის გარდახდა მიუსაჯა იბრაგიმ-ოღლის სასარგებლოდ. იბრაგიმ-ოღლი სასამართლომ გაამართლა.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

მალე 80 წლისთავი შეუსრულდება შესანიშნავ მეცნიერს და გერმანიის საზოგადო მოღვაწეს რუდოლფ ვირხოვს. გერმანიაში აზრადა აქვთ ამის გამო დღესასწაული გამართონ და პატივი სცენ დამსახურებულ მეცნიერს. ამ დღესასწაულში, როგორც ამბობენ, სხვა სახელმწიფოს უნივერსიტეტები და სამეცნიერო საზოგადოებანიც მიიღებენ მონაწილეობას. რუსეთში უკვე შეუდგნენ უნივერსიტეტები სადღესასწაულოდ მზადებას. ამასვე ჰფიქრობენ ავსტრიისა, ინგლისისა, ამერიკისა და იაპონიის უნივერსიტეტების მთავრობანი.

* * *

დიდის საქმის განხორციელება განუზრახავს გერმანიის იმპერატორს ვილჰელმ მეორეს. აზრადა აქვს თურმე მთელს ევროპაზედ არხი გაიყვანოს. ერთი ავსტრიული გაზეთი საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს ამის შესახებ. პროექტით არხმა ევროპა ორად უნდა გაჰყოს და ადრიატიის ზღვა მდინარე ოდერს უნდა შეუერთოს. სიგრძე ამ არხისა 2000 ვერსზედ მეტი იქმნება. იგი, თუ განახორციელეს, უდიდესი არხი იქმნება მთელ დედა-მიწის ზურგზედ. ბევრგან მიწის გათხრა არც-კი იქმნება საჭირო, რადგანაც მდინარეებს შეაერთებენ.

* * *

ბოლგარიის ოფიციოზურ გაზეთ „დლიურში“ საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი ბოლკანეთის სახელმწიფოების მცხოვრებთა შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, სერბიაში, მაგალითად, 2,500,000 მცხოვრები ყოფილა, აქედგან 2,300,000 სერბი ყოფილა და 200,000 არა სერბი; ჩერნოგორიაში—300,000 მცხოვრები, აქედგან სხვა ერთაგანი მხოლოდ 17,500 კაცია; რუმინიაში—5,000,000 მცხოვრებია, აქედგან ებრაელი—600,000 კაცია, ბოლგარი—417,000, ნემეცი და უნგრელი—394,000, ბერძენი—328,000, სხვა ერისანი—174,000 კაცი. ბოლგარიაში სულ 3,200,000 მცხოვრები ყოფილა, აქედგან ბოლგარი მხოლოდ 1,848,000 კაცია საბერძნეთში 2,270,000 მცხოვრები, აქედგან ბერძენი 1,078,000-ია.

* * *

ამას წინად გერმანიაში ოფიციალური ცნობები გამოუქვეყნებიათ 1900 წლის მიწიდ-მოქმედების შესახებ. სულ ამ წელს გერმანიაში დაუმუშავებიათ 1108,860 გექტარი (გექტარი დესეტინაზედ ცოტა ნაკლებია) მიწა, 475,882 გექტარით მეტი, ვიდრე 1898 წელს.

* * *

საფრანგეთში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ იმ გაჭირვების შესახებ, რომელშიაც უმაღლესს სწავლა მიღებულნი ვარდებიან თანდათან. ადგილისა და საქმის შოვნა უმაღლესს სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ წლითი-წლობით უძნელდებათ თურმე. ბევრნი 500 600 და 700 მანეთიან ადგილებსაც ვეღარ შოულობენ. უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულნი შედიან კანცელარიებში უბრალო გადამწერლებად.

* * *

ნიუ-იორკსავით ლონდონსაც ეწვია სიცხეები. ტემპერატურა ჩრდილში 34 გრადუსამდე ადის თურმე. სამკურნალოები სავსეა ავადმყოფებით. ისე დღე არ გაივლის, რომ სიცხისაგან რამდენსამე კაცს არ შეუღონდეს ქუჩაში გული. 20 ივლისს (ახალის სტილით), მარტო ამ ერთ დღეს 25 კაცი მომკვდარა ქუჩაში სიცხისაგან. ქუჩებში ბევრგან შეაჩერეს ცხენის რკინის გზის ვაგონების მიმოსვლა.

* * *

ევროპაში ველოსიპედების ნაცვლად ეხლა უფრო და უფრო ავტომობილები ვრცელდება. არც საკვირველია: ავტომობილი მატარებელზედაც-კი ბევრად უფრო ჩქარა გარბის. როგორც ვუწყით, ამას წინად პარიჟში და ბერლინს შუა ავტომობილების გაჯიბრება მოხდა. გაიმარჯვა ამ გაჯიბრების დროს ფრანგმა ფურნიემ, რომელმაც 500 ვერსზედ მეტი 6 საათსა, 7 წუთსა და $44\frac{3}{5}$ წამს გაიარა. ფურნიეს ბევრგან მოუხდა შეჩერება; თუ იმ დროს გამოვაკლებთ, რაც ხანი შეჩერდა, გამოვა, რომ ფურნიეს საათში ორთაშუა რიცხვით 100 ვერსი გაუვლია. ჩვეულებრივი მატარებელი თვით ევროპაშიაც-კი 50 ვერსზედ მეტს ძლივს გადის.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 ივლისი.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანებანი: 1) კერძო ნავთისა და ოქროს მადნების წარმოების გაუქმების შესახებ პრიმორსკის ოლქსა და მახლობლად მდებარე კუნძულებზედ; და 2) ვადის შესახებ, რომლისაც სისრულეში უნდა იქმნას მოყვანილი ბრძანება ნავთისა და ოქროს მადნების წარმოების გაუქმების გამო დასახელებულ ოლქებში.

სარატოვი. დაიწვა „სავაჭრო ნაოსნობის“ დებარკადერი საქონლითურთ.

კონსტანტინეპოლი. გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრძანება გასცა, ის ფოსტა, რომელიც სკოპში მუდამ სერბიის ელჩის სახელობაზედ იყო გაგზავნილი და რომელიც ოსმალეთის სადამოჟნო მოხელეებმა შეაკავეს, გადაეცეს სერბიის ელჩს გრუიჩს. ელჩს ბარათი უნდა ჩამოერთვას.

ლორენცო-მარკეზი. ბურთა რაზმი, რომელსაც ორი ზარბაზანი ჰქონდა, პორტუგალიის საზღვარს გადავიდა. ეს რაზმი კუნენგშია დაბანაკებული. შიგ მივიდა კუნენგში პორტუგალიის ჯარის 500 კაცი; არტილერია დღეს იქმნა გაგზავნილი. თუ ბურები მორჩილებას არ განაცხადებენ, მომზადებულია გასაგზავნად 300 კაცი კიდევ.

20 ივლისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება და ჰბრძანა ყველა კერძო ქალაქისა და ქალაქის გარეთ თეატრებში, ბაღებში და სეირნობის დროს საზაფხულო ტანისამოსი ჩაიცვან ხოლმე.

ასტრახანი. სასტუმროს ნომერში ერთი სპარსელი მხეცურად აუკუწნიათ; მახლობელს ნომრებში მკვლელობა არ შეუტყვიათ. სპარსელის მკვლელი დაჭერილია; მიზეზათ სცოდეს მიმართ იჭვს ასახელებენ.

ბათუმი. მცხოვრებნი დამშვიდდნენ, ქალაქმა ჩვეულებრივი სახე მიიღო. როგორც ოფიციალურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, აფეთქების დროს დაქცეულა 8 კაზემატი და ძლიერ დაზიანებულა ორი რკინის სარაი და ციხე-კაზის შენობა, სადაც ტყვია-წამალი ინახებოდა. კაზემატებში, სადაც აფეთქება მოხდა, ნაღმების გარდა, ინახებოდა აგრეთვე 17 ფუთი თოფის წამალი. მოკლულია 30-მდე, დაჭრილი 60-მდე; კერძო კაცთა შენობები ძლიერ არ არის დაზიანებული. საავადმყოფოებში მწოლარე დაჭრილებს საგანგებოთ უვლიან.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. სამხედრო სესხის შესახებ წარდგენილ წინადადებისა გამო კამათის დროს გიქს ბიჩმა ის აზრი გამოსთქვა, რომ პარლამენტის მიერ სამხედრო აზრით გადადებული თანხა საკმარისი იქმნება იანვრამდე მაინც, თორემ, თუ საქმე კარგად წავიდა, შეიძლება საფინანსო წლის ბოლომდისაც გვეყოსო. პალატამ მიიღო წინადადება, რომ მთავრობას უფლება ჰქონდეს 6,157,000 გირ. სტერლინგი საზღვაო შეიარაღებას მოახმაროს. პალატამ შეიწყნარა წინადადება, რომ ლორდს რობერტს 100,000 გირვანქა სტერლინგი დაენიშნოს. სოლსბერიმ და სპენსერმა ფელდმარშალის მიერ ქვეყნის წინაშე გაწეული სამსახური შეაქეს. როზბერის წინადადება იმის შესახებ, რომ ტახტზედ ასვლის სამეფო დეკლარაცია განსაკუთრებულს კომისიას გარდაეცეს ხელ-მეორედ განსახილველად, შეწყნარებული არ იქმნა. სამეფო ტიტულის შესახებ კანონი მესამედ წაკითხვის შემდეგ მიღებულ იქმნა.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან: „15 ივლისს ოფიცერთა მზვერავი რაზმი, 20 იომანრი და რამდენიმე ადგილობრივი მსროლელი ჯარის-კაცი ბურების ორს ურემსა და რამდენსამე კაცს უკან მისდევდნენ; ასრე დევნის დროს 50 მილით განშორდნენ რკინის გზას დარნიკერიდგან (ორანჟის რესპუბლიკაში), აქ-კი ბურების 200 კაცმა ჩვენებს გზა მოუჭრა. კარგა ხნის წინააღმდეგობის შემდეგ ერთს პატარა შენობაში, ინგლისელები დამორჩილდნენ, რადგანაც ტყვია-წამალი შემოელიათ. სამი იომანრი დაჭრილია. დამორჩილების შემდეგ ადგილობრივს მსროლელს ჯარის კაცებს ხელები ააშვერინეს და დახვრიტეს. ერთი დაჭრილი იომანრიც დახვრიტეს, სხვები-კი გაანთავისუფლეს, დახვრეტილი იომანრი ბურებს კაპის ახალშენელი ჰგონებიათ. ფრენჩი იუწყება: კრუიცინგერმა წერილი მომწერა, რომ განზრახვა აქვს ყველა ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც-კი ინგლისის სამსახურში არიან და მას ხელთ ჩაუცვივიან, დახვრიტოს ხოლმე, სულ ერთია შეიარაღებულნი იქნებიან იგინი თუ არა. საზოგადოდ ამ ბოლოს დროს კაპის ახალშენელებს ხშირადა ჰხვრეტენ ხოლმე ბურებიო“.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა, (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.), ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.), ყარსში ჩადის დღის 12 ს 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.), ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საგარეჯო მატარებლები:

საგარეჯო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

საგარეჯო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.).

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის არის 40 თავისუფალი ვაკანსია პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან ბავშვები 7—8 წლამდის. ამ განყოფილებაში შესვლის მსურველს უნდა შეეძლოს კითხვა და ანბანის წერა ქართულად. დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება. ამისდა მიხედვით თხოვნები მიიღება მხოლოდ პირველ განყოფილებაში ბავშვის მიბარების მსურველთაგან.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 მარიამობისთვემდის. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქმნას შემდეგი საბუთების ქაღალდები: წლოვანობის, აზნაურშვილობის და ყვავილის აცრისა.

აგვისტოს 27—28 რიცხვებში, მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა.

მოსწავლემ სკოლაში მოსვლისათანავე უნდა წარმოადგინოს ნახევარი წლის სწავლის ფული 5 მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში დათხოვნილ იქმნება სკოლიდგან; სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

(2—6.—2)

ფოთის საბუხჰალტერო

კურსები

ქ. გიგინეიშვილისა.

თხოვნის შეტანა შეიძლება ყოველ დღე. პროგრამები გაეგზავნება მსურველს უფასოდ. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან.

(8—6.—4)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით, დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასალამაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, პსობ. მუწუკებს, არპილებს კანს ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია: დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—59)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Іюля 1901 г.

სტამბა ქქ. ოკ. ხელაძისა დვორცოვაია-მელიქოვის ქ., № 28.

რედაქტორ-გამომცემელი, ილია ჭავჭავაძე